განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრები:

იწგა ბაქრაძე

წინო ხაჩიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **231287005**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის **2019 წლის 21 ივნისის №516 ბრძანების** საფუძველზე, **(შეტანილია ცვლილება 2019 წლის 8 ივლისის №578 ბრძანებით)** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, **2019 წლის 18 - 20 ივლისს** განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) ვიზიტი **ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟში“** მისამართზე: **თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1**

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე შეისწავლა კოლეჯის მიერ ცენტრში წარმოდგენილი თვიშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია, ასევე გაეცნო 2018 წლის №466 ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნას და შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს სხდომის ოქმს. ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა დღის წესრიგი **(დანართი.1)** რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ყველა აქტივობა.

დაწესებულებამ უზრუნველყო დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების მაღალ დონეზე ორგანიზება, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტის დროულად და შეუფერხებლად მოწოდება. დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუს პროცესში, დადასტურდა კოლეჯის ადმინისტრაციის, თანამშრომლებისა და პედაგოგების მაღალი ჩართულობა შესაბამისი დოკუმენტაციის და აქტივობების მომზადების პროცესში. ამასთან, აღსანიშნავია თანამშრომლების მაღალი მოტივაცია და გუნდურობა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში.
აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ უმეტესწილად გაიზიარა 2018 წელს განხორციელებული მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები, კერძოდ:

- დაკონკრეტებულ იქნა დაწესებულების მისიის განაცხადი და გამოკვეთილ იქნა მათ შორის ადგილობრივი ბაზრისთვის კონკურეტუნარიანი კადრების მომზადება;
- შემუშავებულ იქნა ახალი კატალოგი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია კოლეჯის ისტორიის, მისიის, ხედვის, ღირებულებების და მიზნების შესახებ, პროფესიული პროგრამების ჩამონათვალი, ინფორმაცია პროგრამაზე სტუდენტთა მიღების შესახებ, შეფასების სისტემა, საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა, ინფორმაცია დაგეგმილი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, პარტნიორები, აქტივობები, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა.
- შემუშავდა ახალი, გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა და 2019 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ამოცანებს, განსახორციელებელ აქტივობას თვეების მიხედვით, შესრულების ინდიკატორს და შესაბამის პასუხისმგებელ პირებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მდგომარეობა (ახალი/ არსებული)	**სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა**	**საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა**	**საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა**	**შენობა-ნაგებობების ფართი**	**მისამართების რაოდენობა და მდებარეობა** (ერთ მისამართზე/სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში/ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში)
არსებული	60	2	19	3330.1	თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. **№1** (ერთ მისამართზე/ერთ მუნიციპალიტეტში)

ა(ა)იპ - კოლეჯი პრესტიჟი **ავტორიზებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №28 გადაწყვეტილებით** და ვიზიტის პერიოდისთვის **(18-20 ივლისი)** მილევად რეჟიმში ახორციელებს 9 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას (საგნობრივი), რომელზეც სწავლობს **89 პროფესიული სტუდენტი**. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების გეგმა, რომლის თანახმად, სტუდენტები სწავლას ასრულებენ არაუგვიანეს 2019 წლის 24 აგვისტოსი.

ამ ეტაპზე კოლეჯს წარმოდგენილი აქვს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც კოლეჯი განახორციელებს ხელახალი ავტორიზაციის მოპოვების შემდგომ, ეს პროგრამებია **ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა** და **საოფისე საქმე**

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციის შესაბამისად, **ა(ა)იპ - კოლეჯი პრესტიჟი** წარმოადგენს **ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი „პრესტიჟის“** სამართალმემკვიდრეს, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა სამეწარმეო რეესტრში, კერძოდ, შეიცვალა დაწესებულების წესდება და მოყვანილ იქნა შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან. კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 14 ივნისის №145 ბრძანებით განისაზღვრა კოლეჯის მარეგულირებელი წესების, კოლეჯში არსებული დოკუმენტების, კოლეჯის ლოგოს, კვალიფიციური ელექტრონული შტამპის, ბეჭდების და სხვა დოკუმენტების წესდებაში შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და ვადები. დოკუმენტის თანახმად, ცვლილებები განხორციელდება ეტაპობრივად არაუგვიანეს 31 აგვისტოსი.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, კოლეჯში და პრაქტიკის ობიექტებზე განხორციელებული ვიზიტების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად, **ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ კოლეჯი აკმაყოფილებს ავტორიზაციის ყველა სტანდარტს** და შეძლებს განახორციელოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებზეც სტუდენტთა კვოტა უნდა განისაზღვროს **60 პროფესიული სტუდენტით**:

- **ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა** - 30 პროფესიული სტუდენტი (15-15 ერთ მიღებაზე)
- **საოფისე საქმე** - 30 პროფესიული სტუდენტი (15-15 ერთ მიღებაზე)

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	☐
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

კოლეჯის ხედვის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორებია: თელავის მუნიციპალიტეტის მერია, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო სექტორი, დამსაქმებელთა ფორმალური და არაფორმალური გაერთიანებები, ასევე კოლეჯის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ურთიერთანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან:

- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ბიბერახის თვითმმართველობა და პროფესიული კოლეჯი „KARL ARNOLD SCHULLE"
- ლიტვის რესპუბლიკის ქალაქ იონავას პროფესიული სკოლა;
- ლატვიის რესპუბლიკის ქალაქ ტალსის თვითმმართველობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- HEKS/EPER (შვეიცარია) სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის პროექტი MOLI კახეთში;
- GIZ გერმანიის საერთაშორისო საზოგადოება
- UNDP გაეროს განვითარების პროგრამა;
- ევროკავშირის პროგრამა Erasmus +

თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებულია არაერთი აქტივობა, რომელიც მოიცავს მათ შორის პერსონალის გადამზადებას, პერსონალის და სტუდენტების გაცვლას ასევე მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას.

აღსანიშნავია კოლეჯსა და ევროკავშირის პროექტ Erasmus + ფარგლებში გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულება ახალგაზრდული სექტორის ფარგლებში (საგრანტო პროგრამა „ჯანსაღი ცხოვრება - უკეთესი ცხოვრება 01.08.2018-31.12.2018 2018-2-PL01-KA105-051373), პროექტის ფარგლებში კოლეჯის სტუდენტმა ინდივიდუალური მობილობის ფარგლებში მიიღო მონაწილეობა პოლონეთში დაგეგმილ ვორქშოპსა და მასტერკლასში.

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ გამოვლენილა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

2.1 ქვესტანდარტი

საჯარო რეესტრში დარეგისტრირდეს შიდა აზომვითი ნახაზის შესაბამისი საერთო ფართი.

2.8 ქვესტანდარტი

- მიზანშეწონილია განახლდეს დაწესებულების ვებგვერდი კოლეჯის მისიისა და ხედვის შესაბამისად. მიუხედავად საიტზე განთავსებული სტანდარტებით მოთხოვნილი ყველა ინფორმაციისა, მარკეტინგული თვალსაზრისით ვებგვერდი საკმაოდ არააღქმადია და ნათლად არ ასახავს კოლეჯში მიმდინარე დადებით პროცესებს. რთულია დოკუმენტების მოძიების პროცესი. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდის განახლება გათვალისწინებულია კოლეჯის 2019 წლის სამოქმედო გეგმაში, განახლების საჭიროება დაადასტურა კოლეჯის ადმინისტრაციამაც ინტერვიუს დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. დაწესებულების მისია

კოლეჯის მისიაა მოამზადოს ეროვნულ და ევროპულ დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრისთვის.

ხედვა:

კოლეჯის ხედვაა, იყოს წარმატებული პროფესიული სასწავლებელი, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადებით, დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით, პროფესიონალი პედაგოგებით, გამართული ინფრასტრუქტურით, საჭირო ინვენტარით აღჭურვილი, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალფეროვანი პარტნიორული ურთიერთობებით ბიზნესის სექტორთან სხვადასხვა მიმართულებით.

ა(ა)იპ - კოლეჯი „პრესტიჟი“

- განახორციელებს ბაზრის მოთხოვნაზე მორგებულ პროფესიულ სასწავლო პროგრამებს;
- იქნება ლიდერი რეგიონში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის წარმატებით დანერგვაში;
- იქნება რეგიონში ერთ-ერთი ლიდერი, ბაზრის მოთხოვნაზე მორგებული, მოკლევადიანი პროფესიული სასწავლო პროგრამების დანერგვაში;
- გააძლიერებს მენეჯმენტსა და პროფესიულ კადრებს განვითარების მიზნების შესაბამისად.

ღირებულებები:

- გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან;
- სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტაცია;
- მუდმივი სწრაფვა სრულყოფილებისაკენ;
- პროფესიონალი კადრების მეშვეობით პროფესიული განათლების განხორციელება;
- დამსაქმებლის კმაყოფილების უზრუნველყოფა;
- ინოვაციისაკენ სწრაფვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ამ ეტაპზე კოლეჯს წარმოდგენილი აქვს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც კოლეჯი განახორციელებს ხელახალი ავტორიზაციის მოპოვების შემდგომ, ეს პროგრამებია **ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა** და **საოფისე საქმე** ორივე პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ 2019 წლის 30 მაისის №129 ბრძანებით. კოლეჯის წესდების მე-4 მუხლით განსაზღვრულია დირექტორის უფლებამოსილება, კერძოდ, მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „კოლეჯის დირექტორი ამტკიცებს კოლეჯის პროგრამებს და ბიუჯეტს, წარმართავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას.“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **ინფორმაციის ტექნოლოგის მხარდაჭერა** შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **ინფორმაციის ტექნოლოგიის** ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე - (სარეგისტრაციო ნომერი - 06112-პ), დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ. მისანიჭებელ კვალიფიკაციად განსაზღვრულია საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support. აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - კოდი 0612. აღმწერი - „შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამური 16 კრედიტის ოდენობით, 3 პროფესიულ მოდულს ჯამური 13 კრედიტის ოდენობით და საერთო პროფესიულ 5 მოდულს 31 კრედიტის ოდენობით. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული ტესტირების გზით ჩარიცხულმა სტუდენტმა - 75 კრედიტი. პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებში და ის შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტს.

პროგრამის გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულების მიერ ადაპტირებულ სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსის დანართში გაპარულია რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი, რადგან ჩარჩენილია სიტყვა „არანაკლებ“, „მინიმუმ“. მაგალითად: „კომუტატორი (არანაკლებ 8 პორტით)“; „გრაფიკული ინტერფეისის მქონე მულტიფუნქციური უსადენო ქსელის მარშრუტიზატორი/როუტერი (მინიმუმ ერთი WAN ინტერფეისი, ოთხი LANინტერფეისი, 802.11 b/g/n, WPA 2 -ის მხარდაჭერა.)“. შესაბამისად, **სასურველია მატერიალურ რესურსს ზუსტად მიეთითოს ტექნიკური მახასიათებლები.**

პროგრამის განხორციელებისას გაცნობითი პრაქტიკის მოდულის სწავლებისას გათვალისწინებულია სასწავლო ექსკურსიების ორგანიზება პარტნიორ ორგანიზაციებთან. თუმცა არც პროგრამა და არც შესაბამისი მოდული არ მოიცავს ინფორმაციას პრაქტიკის ობიექტების შესახებ. შესაბამისად, **სასურველია პროგრამა მოიცავდეს პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ ჩამონათვალს**. კოლეჯს მემორანდუმები გაფორმებული აქვს პრაქტიკის შემდეგ ობიექტებთან:

- შპს „სერვის ნეტ გრუპი“;
- შპს „SKYTEL”;
- ი/მ [redacted]
- სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებში გაწერილია მემორანდუმის საგანი, მხარეთა უფლებამოსილება, მემორანდუმის მოქმედების ვადა და სხვა. პროგრამის ფარგლებში მემორანდუმების საგანს წარმოადგენს პრაქტიკის ობიექტის მიერ კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - “ინფორმაციის ტექნოლოგის მხარდაჭერა” პროფესიული სტუდენტებისთვის **„გაცნობითი პრაქტიკის”** მოდულის განხორციელების ხელშეწყობა. ამისთვის კოლეჯი უზრუნველყოფს გაცნობითი პრაქტიკის პროცესში შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვალიფიკაციის მქონე პედაგოგის ჩართვას და უთითებს პედაგოგთა სახელსა და გვარს. **მიზანშეწონილია მემორანდუმებში პედაგოგთა სახელი, გვარი არ იყოს მითითებული.**

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა **სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა** და კომპიუტერების შემკეთებელი სახელოსნოს **(ი/მ [redacted])** მონახულება და მათ წარმომადგენლებთან გასაუბრება. პარტნიორი დაწესებულებები მზაობას გამოხატავენ მიიღონ მემორანდუმით გათვალისწინებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტები და უზრუნველყონ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მათ დაწესებულებებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საოფისე საქმე", დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში / Secondary Vocational Qualification in Office Work

პროგრამაში განსაზღვრულია :

- პროგრამის სარეგისტრაციო ნომერი და სახელწოდება;
- მიზანი;
- დაშვების წინაპირობა;
- დასაქმების სფერო და შესაძლებლობები
- სტრუქტურა და მოდულები;
- მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები;
- სწავლის შედეგის მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება;
- პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება;
- სპეციალური საგანამანთლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის
- ინფორმაცია ქართული ენის კომპეტენციის შესახებ;
- ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები;
- ინფორმაცია დანართების შესახებ (დანართების/მოდულების ნუსხა).
- პროგრამასთან ერთად წარმოდგენილია დანართები (ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ,ინფორმაცია აღჭურვილობის შესახებ, სასწავლო გეგმა და პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული).

პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია მითითებული რეკომენდაციების დაცვით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში სტუდენტთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. ამასთან, სასწავლო გეგმა აგებულია იმგვარად, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია წინმსწრები მოდულის სწავლების შედეგების განმეორებით დადასტურების შესაძლებლობა.

პროგრამის ხანგრძლივობა არის 40 კვირა. პროგრამის ყველა პროფესიული მოდული, გარდა მოდულისა ,,საწარმოო პრაქტიკა-საოფისე საქმე" განხორციელდება კოლეჯის AB გარემოში.

პროგრამის ხანგრძლივობის ვადის დაცვით, **„გაცნობითი პრაქტიკისა"** და **„საწარმოო პრაქტიკის"** მოდულის განხორციელების მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ პარტნიორ ორგანიზაციებთან:

- თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრი;
- თელავის მუნიციპალიტეტის მერია;
- თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ მეფე ერეკლეII –ის სახელობის ქ.თელავის N1 საჯარო სკოლა;
- სსიპ ქ.თელავის N2 საჯარო სკოლა;
- სსიპ ქ.თელავის N5 საჯარო სკოლა;
- სსიპ ქ.თელავის N7 საჯარო სკოლა;
- სსიპ ქ.თელავის N8 საჯარო სკოლა.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პრაქტიკის ობიექტები: სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავის მუნიციპალიტეტი და საკრებულო, რესურსცენტრი, თელავის №8 საჯარო სკოლა. გაესაუბრნენ მათ წარმომადგენლებს. პარტნიორი დაწესებულებები მზაობას გამოხატავენ მიიღონ მემორანდუმით გათვალისწინებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტები და უზრუნველყონ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მათ დაწესებულებებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში არსებობს 2019 წლის კატალოგი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია კოლეჯის ისტორიის, მისიის, ხედვის, ღირებულებების და მიზნების შესახებ, პროფესიული პროგრამების ჩამონათვალი, ინფორმაცია პროგრამაზე სტუდენტთა მიღების შესახებ, შეფასების სისტემა, საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა, ინფორმაცია დაგეგმილი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, პარტნიორები, აქტივობები, საკონტაქტო ინფორმაცია. კატალოგი ასევე განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.www.vetprestige.ge

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ გაზიარებულ იქნა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კატალოგით;
- ვებგვერდით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 29 მაისის №123 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. ვიზიტის პერიოდში შერჩევით გადამოწმდა რამდენიმე სტუდენტის პირადი საქმე (არასრულწლოვანი, სტატუსის შეჩერება, სტატუსის შეწყვეტა). კოლეჯის სტუდენტებს სტატუსი მოპოვებული/შეჩერებული/შეწყვეტილი ჰქონდათ მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად.

რეესტრის გადამოწმებით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტების შესახებ დროულად ხორციელდება სტატუსის ცვლილებების შესახებ ინფორმაციის ასახვა, ასახული ბრძანებების შესახებ სრულ სურათს იძლევა სტუდენტის ისტორიაც. ასევე სრულყოფილად და ვადების დაცვით ხდება ინფორმაციის განახლება პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- სტუდენტთა პირადი საქმეებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემით https://evet.emis.ge/

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 29 მაისის №123 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-12 მუხლის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი პროფესიულ სტუნდენტთან შეთანხმებით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული, ერთი და იმავე პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების მობილობის პროცესის ხელშეწყობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში სტუდენტის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არარსებობის შემთხვევაში, კოლეჯი პროფესიულ სტუნდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:

1. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „**ჰორიზონტი**“
2. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი **„განთიადი“**
3. სსიპ **„გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“**
4. სსიპ კოლეჯი **„მოდუსი“**
5. სსიპ პროფესიული კოლეჯი **„ერქვანი“**
6. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი **„ოპიზარი“**
7. სსიპ საზოგადოებრივი **კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“**
8. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი **„ახალი ტალღა“**
9. სსიპ პროფესიული კოლეჯი **„თეთნულდი“**
10. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი **„იკაროსი“**
11. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი **„სპექტრი“**
12. სსიპ პროფესიული კოლეჯი **„ლაკადა“**
13. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი **„იბერია“**
14. სსიპ პროფესიული კოლეჯი **„ბლექსი“**
15. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი **„მერმისი“**
16. სსიპ **ილიას წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი**
17. სსიპ კოლეჯი **„აისი“**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის დირექტორის 2014 წლის 22 აგვისტოს №198 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის მართვის მენეჯერის თანამდებობრივი ინსტრუქცია, სადაც გაწერილია მისი ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტით ირკვევა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერს ევალება სასწავლო პროგრამების ხარისხის შემდგომი განვითარება და სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება. ამ მიზნით შემუშავებულია ხარისხის მართვის მენეჯერის 2019 წლისთვის სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია აქტივობები, მოსალოდნელი შედეგი, საჭირო რესურსი, შესრულების ვადა და პასუხისმგებელი პირ(ებ)ი.

ზემოაღნიშნულის გარდა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 18 აპრილის №88 ბრძანებით, რომელიც წარმოადგენს კოლეჯის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს. აღნიშნულმა მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება და ხელი შეუწყოს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილ, ხარისხიან და ეფექტურ განხორციელებას. აღნიშნული დოკუმენტით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება ძირითადად დაეფუძნება პროფესიული სტუდენტების მიერ მიღწეული სწავლის შედეგების გაანალიზებას და პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციას. აღნიშნულ პირთა გამოკითხვა განხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებირივი აქტით დამტკიცებული კითხვარების საშუალებით, რომლებშიც გაწერილია გამოკითხვის მიზნები.

კითხვარების საშუალებით უნდა დადგინდეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

- პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სასწავლო მასალების, ტექნიკური საშუალებებისა და დამხმარე თვალსაჩინოებების არსებობის საკითხი, რაც სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების შესაბამისი უნდა იყოს;
- სტუდენტთა შეფასების მეთოდების ადეკვატურობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების ინსტრუმენტების/საგამოცდო საკითხების რელევანტურობა პროგრამით გათვალისწინებული მასალის ძირითად ნაწილთან;
- პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შემოწმების/დადასტურების მეთოდის ეფექტურობა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ პროფესიული სტუდენტებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ინტერაქტიული სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობას და სხვა.

გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი შენიშვნები და დაინტერესებულ პირთა დამოკიდებულება გათვალისწინებული იქნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2017-2018 წლისთვის ხარისხის მენეჯერის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ანგარიში, 2018 წლის 9 ივნისის №182 ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის ოქმები. ხორციელდება ოქმების შემუშავება. მიმდინარეობს გამოკითხულთა კვლევის შედეგების ანგარიშების შემუშავება, როგორც სტუდენტებიდან, ასევე მასწავლებლებისა და დამსაქმებლებიდან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე. წარმოდგენილია 2018 წლის შევსებული მეცადინეობის შეფასების ფორმები, სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის შეფასების, სტუდენტის მიერ პედაგოგის შეფასების, სტუდენტის მიერ ადმინისტრაციის შეფასების კითხვარები. ასევე, მიმართულებების მიხედვით მიმდინარეობს კათედრების სხდომები, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, მათ შორის ლექციებზე მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შედეგად მიღებული რეკომენდაციების გაცნობა-წარდგენა, გამოცდილების გაზიარება, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების გაცნობა, ლექციებზე თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების გამოყენების ურთიერთგაზიარება და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემით;
- კითხვარებით
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - კოლეჯი „პრესტიჟი“ მდებარეობს **ქალაქ თელავში,** მისამართზე: **ქართული უნივერსიტეტის ქ.1** საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა **თელავის მუნიციპალიტეტი**, რომელსაც უზუფრუქტის ხელშეკრულებით ქონება გადაცემული აქვს **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის**, სამინიტროს თავის მხრივ, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 13244 კვ.მ და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები გადაცემული აქვს კოლეჯისათვის. იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 2018 წლის 9 აგვისტოს და მოქმედებს კოლეჯის არსებობის ვადით. საჯარო რეესტრის ამონაწერში შენობა-ნაგებობების საერთო ფართი მითითებული არ არის, ხოლო იჯარის ხელშეკრულებაში მითითებულია მოშენების ფართობი 1458 კვ.მ, რეალურად შენობა-ნაგებობების საერთო ფართია **3330.1**

აღსანიშნავია, რომ კოლეჯის სრული რეაბილიტაციის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კოლეჯისათვის გამოყოფილი აქვს 2 647 125,49 (ორი მილიონ ექვსას ორმოცდაშვიდი ათასასოცდახუთი ლარი და 49 თეთრი) ლარი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტენდერის გამოსაცხადებლად მოსამზადებელი სამუშაოები.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ.1 საკადასტრო კოდი: [redacted]	3330.1

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან [redacted]-14/08/2018;
- იჯარის ხელშეკრულებით;
- შიდა აზომვითი ნახაზით;
- საპროექტო დოკუმენტაციით.

რეკომენდაცია:

საჯარო რეესტრში დარეგისტრირდეს შიდა აზომვითი ნახაზის შესაბამისი საერთო ფართი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საოფისე საქმე" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო:
ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 15
ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 15.
გ) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა/ C სასწავლო გარემოს ფართი/ პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებასთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა (რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში ადგილების ჯამი)
დ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რესურსი.

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საოფისე საქმე" განხორციელებისათვის AB სასწავლო გარემო აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი მაგიდით, სკამით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და სკამით. ასევე ინტერნეტის ქსელში ჩართული 16 კომპიუტერით, ქსელური პრინტერით და დემონსტრირების საშუალებით - პროექტორით.
შესაბამისად, კოლეჯი ერთ ცვლაში შეძლებს 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას (1 ჯგუფში). შესაბამისად ორ ცვლაში სწავლების განხორციელების შემთხვევაში კოლეჯი შეძლებს 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - ,,საოფისე საქმე" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს.

პროფესიულ საგანმანმანათლებლო პროგრამის ,,საოფისე საქმე" განხორციელების მიზნისთვის სასწავლო ფართი აღჭურვილია სათანადო რესურსით, რომელიც შეესაბამება ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალს და იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო:
ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 15
ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 15.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რესურსი
B სასწავლო გარემო წარმოადგენს C გარემოს.

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" განხორციელებისათვის A სასწავლო გარემო აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი მაგიდებით, 15 სკამით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და სკამით. ასევე ინტერნეტის ქსელში ჩართული 16 კომპიუტერით, ქსელური პრინტერით და დემონსტრირების საშუალებით - პროექტორით.

B სასწავლო გარემო აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნების შესაბამისი ინტერნეტის ქსელში ჩართული 16 კომპიუტერით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით, პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი 15 მაგიდით, 15 სკამით, დავით, ქსელური პრინტერით და დემონსტრირების საშუალებით - პროექტორით.

შესაბამისად, კოლეჯი ერთ ცვლაში შეძლებს 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას (1 ჯგუფში). შესაბამისად ორ ცვლაში სწავლების განხორციელების შემთხვევაში კოლეჯი შეძლებს 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს.

პროფესიულ საგანმანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" განხორციელების მიზნისთვის სასწავლო ფართი აღჭურვილია სათანადო რესურსით, რომელიც შეესაბამება ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალს და იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტებით;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიით;

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები, გაზის მიზოდებას უზრუნველყოფს შპს თელავგაზი, ელექქტროენერგიის მიწოდებას სს ენერგო-პრო-ჯორჯია ხოლო წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესაბამისი ხელშეკრულებებით;
- ანგარიშ-ფაქტურებით;
- საგადახდო დავალებებით (გადარიცხვის ქვითრებით);
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული და 2017 წლის 15 აგვისტოს დირექტორის №152 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლებიც თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული. ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნში რეგისტრაცია და მკითხველის ბარათის წარმოება.

დაწესებულებას ასევე აქვს წიგნთსაცავი და სამკითხველო დარბაზი, სადაც განთავსებულია ხუთი კომპიუტერი. შესაბამისად სტუდენტს თავისუფლად ექნება წვდომა ელექტრონულ სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსებზე, გამომდინარე იქიდან, რომ კომპიუტერებში პროგრამებისა და მოდულების მიხედვით ჩატვირთულია ელექტრონული რესურსები.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან შერჩევითობის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული. ექსპერტთა მიერ შერჩევითობის პრინციპით შერჩეული წიგნები ყველა აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული.

დასტურდება:

- ბიბლიოთეკის დებულებით
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით
- ადგილზე დათვალიერებით
- ინვენტარიზაციის წიგნებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის მართვაში გამოიყენება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, კერძოდ სატელეფონო და საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურებას უზრუნველყოფს სს „სილქნეტი“, ინტერნეტ-მომსახურებას შპს MAXNET, კოლეჯი ასევე ჩართულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში https://evet.emis.ge/ , საქმისწარმოებაში გამოიყენება დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow. კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობაში გამოიყენება 147 კომპიუტერი, 18 ლეპტოპი, 16 მულტიფუნქციური პრინტერი, 8 პროექტორი. უშუალოდ ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის გამოყენებულ იქნება 30 კომპიუტერი, დამატებით შესყიდულია 34 ახალი კომპიუტერი, რომელიც გადმოსაცემი აქვს შესაბამის მხარეს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინვენტარიზაციის აქტებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით
- შესყიდვის/მოსახურების ხელშეკრულებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, საქმისწარმოებაში გამოიყენება დოკუმენტბრუნვის სისტემა „Eflow". მატერიალური სახით ხდება დირექტორის ბრძანებების რეგისტრაცია, ასევე კოლეჯის ვიზიტორების რეგისტრაცია.

პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის ახალი რედაქციის შესაბამისად, ა(ა)იპ - კოლეჯი პრესტიჟი წარმოადგენს ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი „პრესტიჟის" სამართალმემკვიდრეს, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა სამეწარმეო რეესტრში, კერძოდ, შეიცვალა დაწესებულების წესდება და მოყვანილ იქნა შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.

კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 14 ივნისის №145 ბრძანებით განისაზღვრა კოლეჯის მარეგულირებელი წესების, კოლეჯში არსებული დოკუმენტების, კოლეჯის ლოგოს, კვალიფიციური ელექტრონული შტამპის, ბეჭდების და სხვა დოკუმენტების წესდებაში შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და ვადები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების წესით;
- აღრიცხვის ჟურნალებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 12 ივლისის №196 ბრძანებით დამტკიცებულია შენობის სახანძრო უსაფრთხოების ზომების ინსტრუქცია და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, უფლებამისილი ორგანოს მიერ შემუშავებული საევაკუაციო გეგმები განთავსებულია შენობის ყველა სართულზე, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი განთავსებულია სათანადო ადგილებზე, ცეცხლმაქრები დამუხტულია და ვადიანია, კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 12 ივლისის №194 ბრძანებით შექმნილია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით საგანგებო შტაბი და დამტკიცებულია საგანგებო შტაბის წევრთა ფუნქციები, კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 12 ივლისის №198 ბრძანებით დამტკიცებულია სიცოცხლის ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქცია. კოლეჯში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ დარაჯები, ასევე ყველა სართულზე განთავსებულია შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსამეთვალყურეო კამერები. კოლეჯის პერსონალს გავლილი აქვს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სასწავლო კურსი სახანძრო უსაფრთხოებას და პირველად სამედიცინო დახმარებაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციებით;
- ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაციით;
- საევაკუაციო გეგმებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, პირველ სართულზე შემოსვლა შესაძლებელი პანდუსით, პირვე სართულზევე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი, სტანდარტის შესაბამისი ფართო კარით, სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია ხის ასაკეცი პანდუსით. გასათვალისწინებელია, რომ იგეგმება კოლეჯის სრული რეაბილიტაცია (იხ. 2.1 ქვესტანდარტი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, www.vetprestije.ge განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის შესახებ, კოლეჯის მისია, ისტორია, სტრუქტურა, პედაგოგები, კატალოგი, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, სამართლებრივი აქტები, სიახლეები, ბოლო ინფორმაცია განახლებულია 2019 წლის 12 ივლისს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებგვერდით;
- დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:
მიზანშეწონილია განახლდეს დაწესებულების ვებგვერდი კოლეჯის მისიისა და ხედვის შესაბამისად. მიუხედავად საიტზე განთავსებული სტანდარტებით მოთხოვნილი ყველა ინფორმაციისა, მარკეტინგული თვალსაზრისით ვებგვერდი საკმაოდ არააღქმადია და ნათლად არ ასახავს კოლეჯში მიმდინარე დადებით პროცესებს. რთულია დოკუმენტების მოძიების პროცესი. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდის განახლება გათვალისწინებულია კოლეჯის 2019 წლის სამოქმედო გეგმაში, განახლების საჭიროება დაადასტურა კოლეჯის ადმინისტრაციამაც ინტერვიუს დროს.

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული აქვს ახალი 2019-2024 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან. კოლეჯის გრძელვადიანი და 2019 წლის სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 2018 წლის 31 დეკემბრის №562 და №563 ბრძანებებით. სტრატეგიული გეგმა ანალიტიკური ტიპის დოკუმენტია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ, ინსტიტუციური გარემოს მიმოხილვას, კოლეჯის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, კოლეჯის საქმიანობის SWOT ანალიზს, სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს.

კოლეჯის მისიიდან გამომდინარე, იკვეთება შემდეგი სტრატეგიული მიზნები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ განხორციელებას შესაბამისი ამოცანებისა და აქტივობების მეშვეობით:
1. კოლეჯის შენობის სრული რეაბილიტაცია, სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მატერიალური ბაზის სრულყოფა;
2. კოლეჯის ტერიტორიაზე სახელოსნოების და ლაბორატორიების აშენება და აღჭურვა;
3. კოლეჯის ტერიტორიაზე მინიმუმ 70 ადგილიანი საერთო საცხოვრებლის აშენება-აღჭურვა;
4. ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური), მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული მიდგომით სწავლების დანერგვა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;
5. კოლეჯის მართვის სისტემის და ადამიანური რესურსების გაუმჯობესება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. ხარისხის მართვის უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფა;
7. სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება;
8. საბიბლიოთეკო რესურსის განახლება;
9. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
10. კოლეჯის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
11. სტუდენტთა სწავლების, სტუდენური ცხოვრების, დასაქმების და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა;
12. დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის დანერგვა, წახალისება, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება

2019 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ამოცანებს, განსახორციელებელ აქტივობას თვეების მიხედვით, შესრულების ინდიკატორს და შესაბამის პასუხისმგებელ პირებს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ იქნა 2018 წლის საქმიანობის ანგარიში და 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის 2018 წლის ანგარიში (01.02.2019)
- 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში
- 2018 წლის SWOT ანალიზი
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2024
- ერთწლიანი სამოქმედი გეგმა 2019

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის საშტატო განრიგი - თანამდებობები, თანამდებობების რაოდენობა და თანამდებობრივი სარგო შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან (18.02.2019) და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 25 თებერვლის №40 ბრძანებით. კოლეჯის სტრუქტურა შედგება დირექციისგან, ადმინისტრაციისგან, დამხმარე და მომსახურე პერსონალისგან. საშტატო ერთეულების რაოდენობაა 30. დირექცია შედგება დირექტორისგან და დირექტორის მოადგილისგან. კოლეჯის ადმინისტრაცია მოიცავს 13 საშტატო ერთეულს, კერძოდ: ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, შესყიდვების სპეციალისტი, იურისტი, რეესტრის წარმოების სპეციალისტი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ქსელის ადმინისტრატორი, ბიბლიოთეკარი. ტექნიკური პერსონალი შედგება მძღოლისგან, მედდისგან, დამხმარე თანამშრომლებისგან (3), დამლაგებლებისაგან (5), მეეზოვისგან და დარაჯებისგან (4).

დაწესებულებაში შემუშავებულია თანამშრომელთა სამსახურებრივი ინსტრუქციები (ბრძანება №198 22.08.2014) და პროფესიული განათლების მასწავლებლების და პერსონალის შერჩევისა და სამსახურში მიღების ერთიანი წესი. (ბრძანება №180 09.06.2018) ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები, ასევე შედგა გასაუბრება ადმინისტრაციასთან და დადგინდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ შემუშავებულ მოთხოვნებს და დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საშტატო განრიგით;
- პირადი საქმეებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 9 ივნისის № 180 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლების და პერსონალის შერჩევისა და სამსახურში მიღების ერთიანი წესის“ შესაბამისად, რომლის თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

„საოფისე საქმის“ განხორციელებაში ჩართული იქნება 15 პედაგოგი, შესაბამისად თანაფარდობა იქნება 15 პედაგოგი/30 სტუდენტზე, ხოლო „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ განხორციელებაში ჩართული იქნება 14 პედაგოგი/ 30 სტუდენტზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 9 ივნისის № 180 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლების და პერსონალის შერჩევისა და სამსახურში მიღების ერთიანი წესის“ შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობით, შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა და დასაქმებულთა თანამდებობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით“დადგენილი წესით და მოიცავს კოდექსით განსაზღვრულ შრომის არსებით პირობებს. დასაქმებული ასევე ხელს აწერს თანამდებობრივ ინსტუქციას, რომელიც ინახება პირად საქმეში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა [illegible]	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1	0	30
2	საოფისე საქმე	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415	59	89	ქართული	თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1	0	30

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

ქ. თბილისი **06.08.2019**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: